ხელშეკრულება №26/18

ქ. თბილისი **1 თებერვალი 2018წ**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტო"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი დოლიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სი-ტი პარკ"** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე–3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე. შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სააგენტოს ბალანსზე რიცხული **1** ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის (Toyota Fortuner სახ. # **GA123PA**,) **1 (ერთი) წლიანი** პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება. (CPV63712400 – ავტოსადგომთა მომსახურებები)

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 1 ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის 1 წლის პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს **50** (ორმოცდაათი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება:

- Toyota Fortuner სახ. # **GA123PA** - 2018 წლის 2 თებერვლიდან 2019 წლის 1 თებერვლის ჩათვლით;

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ პირებს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენენ სააგენტოს ეკონომიკური სამსახურის უფროსი და ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით, „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასის შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

4.3 დაფინანსების წყარო: სააგენტოს საკუთარი შემოსავლები.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სააგენტოს ეკონომიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი რამაზ მეტრეველი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად (ორი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"	შპს „სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი 204911337	საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, გულუას ქ. 6	ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 275 23 52	ტელ: 224 44 41
	ს.ს. „თი ბი სი ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი: TRESGE22, ა/ა № 200122900	ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის №GE75TB7721336070100003
----------	----------
თავმჯდომარის მოადგილე **გ. დოლიძე**	გენერალური მენეჯერი **ბ. ლაჰავი**